# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

# ოქმი№ 15

**2023 წელი 9 ნოემბერი**

**ქ. ბაღდათი**

**11:00 საათი**

**2023 წლის 9 ნოემბერს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.**

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე ირინა ტყეშელაშვილი, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე, ბიძინა ჯაბიძე (მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

**არ ესწრებოდა:** ჯუმბერ რობაქიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე .

**მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:**

**ლერი გუმბერიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

**კახა მსხვილიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

**საკრებულოს აპარატი:**

**ნოდარ ებანოიძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი.

**ნათია ცისკაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

**ირინე აბაიშვილი** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

**ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე** - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდამ შემოსულია წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, სადაც უნდა განვიხილოღ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება და მოვიწონოთ 2024 წელში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.“ ნ. გიორგიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

**2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში** განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

**მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0**

**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრი**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ბიუროს წევრებს მიაწოდა,** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანოს-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა - ლერი გუმბერიძემ.

**აზრი გამოთქვეს:** მაია კბილაშვილმა, მურად ბურჯანაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, გურამ კიკნაველიძემ, ბიძინა ჯაბიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს მიაწოდა,** ამავე კომისიის თავმჯდომარემ - მურადი ბურჯანაძემ.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2023 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

**მუნიციპალიტეტში 2024 წელში შესაძლო განსახორციელებელი პროექტების ნუსხა ბიუროს სხდომაზე წარადგინა: კახა მსხვილიძემ-** მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

**აზრი გამოთქვეს:** ბიძინა ჯაბიძემ, ზაზა ზივზივაძემ, გია სახამბერიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, მურად ბურჯანაძემ, ნოდარი გიორგიძემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა:** ბიძინა ჯაბიძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**ბიურომ გადაწყვიტა:**

საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2023 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**ბიურომ გადაწყვიტა:**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც გაიმართება 2023 წლის 10 ნოემბერს 12:00 საათზე, სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები:

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

**სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა**

**სხდომის თავმჯდომარე:** **ნოდარ გიორგიძე**